მომსახურების ხელშეკრულება N 22

ჭიათურა 05 აპრილი 2018 წ.

ერთის მხრივ, სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლა (საიდენტიფიკაციო ნომერი 215606422 იურიდიული მისამართი ჭიათურა სოფელ ეწერის საჯარო სკოლის წარმოდგენილი დირექტორის მ/შ მარინე სარალიძის სახით ( შემდგომში დამკვეთი ) და მეორეს მხრივ შპს „გო-სა-გი" (საიდენტიფიკაციო ნომერი 202452023, იურიდიული მისამართი თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, გროზნოს ქ.#16) წარმოდგენილი დირექტორის გიორგი შეყრილაძის სახით (შემდეგში „შემსრულებელი") ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დამკვეთის დავალებით, შეთანხმებული ანაზღაურების სანაცვლოდ, შემსრულებლის მიერ შემდეგი სახის მომსახურების გაწევა: სადერატიზაციო, სადეზინსექციო და სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება.( CPV კოდი 909220000)

## 2. მომსახურების წესი

2.1. შემსრულებელი ვალდებულია მომსახურება გაწიოს პირადად, კეთილსინდისიერად, მაღალკვალიფიციურად.

2.2. შემსრულებელი ვალდებულია მომსახურება გაწიოს პერიოდულად 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ყოველი მომსახურების გაწევის შემდეგ დგება შესაბამისი აქტი.

## 3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

3.1. შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს გაწეულ მომსახურებაში კვ/მ 0.20 ლარი.

3.2. შეთანხმებული საზღაურის გადახდა მოხდება მომსახურების გაწევიდან არა უგვიანეს ხუთი დღის ვადაში.

3.3. ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

3.4. საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ გადასახადებს შემსრულებელი გადაიხდის პირადად (ან დაუკავებს დამკვეთი).

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

...ეები პასუხს აგებენ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი ...ესრულებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ფორს–მაჟორი

5.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

5.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემკვეთის ან/და შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

6. დავა

მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ცვლილებები და დამატებები

წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა ხდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

არე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი დებულებების შესრულებამდე.

### 9. დასკვნითი დებულებები

9.1. მომსახურებასთან დაკავშირებული ის ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან. ხელშეკრულულება ძალაშია 2018 წლის 05 აპრილიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

| დამსაქმებელი | დასაქმებული |
| --- | --- |
| სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლა<br>მის. ჭიათურა, სოფელი ეწერი<br>საბანკო რეკვიზიტები:<br>ს/ს „ლიბერთი ბანკი"<br>ბანკის კოდი : LBRTGE22<br>ს/კ 215606422<br>ა/ა GE85LB0121181956526000<br>დირექტორის მ/შ :<br><br>მარინე სარალიძე<br>________________ | შ.პ.ს „გო-სა-გი"<br>იურ.მის.თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, გროზნოს ქ.#16<br>საიდ.ნომერი 202452023<br><br>ბანკი „ლიბერთი ბანკი"<br><br>ანგ.ნომ. GE75LBO 113160820310000<br><br>დირექტორი /გიორგი შეყრილაძე/<br>________________<br>(ხელმოწერა) |